ამერიკა უგუნურად ეთამაშება ცეცხლს

ავლაგმოთ ომის პროვოკატორები!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი

№ 251 (12459) | ოთხშაბათი, 24 ოქტომბერი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

კუბამ მიმართა უშიშროების საბჭოს

ჰავანა, 23 ოქტომბერი. (საქდესი). როგორც პრენსა ლატინას სააგენტო იუწყება, კუბამ მიმართა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს ვ. ა. ზორინს და სთხოვა დაუყოვნებლივ დანიშნოს უშიშროების საბჭოს სხდომა, რათა განიხილონ შეერთებული შტატების მთავრობის მოქმედება, რომელმაც დააწესა კუბის ბლოკადა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კუბის მუდმივი წარმომადგენლის მარიო გარსია ინჩაუსტეგის წერილში უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისადმი ნათქვამია:

„კუბის რევოლუციური მთავრობის მითითების შესასრულებლად მაქვს პატივი მოგმართოთ და გთხოვოთ, რომ დანიშნოთ სასწრაფო სხდომა უშიშროების საბჭოსი, რომლის თავმჯდომარეც თქვენ ხართ, ომის იმ აქტის გამო, რაც ცალმხრივად მოახდინა შეერთებული შტატების მთავრობამ, ბრძანება რომ გასცა კუბის სამხედრო-საზღვაო ბლოკადის დაწესების შესახებ.

ომის ამ აქტს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ახორციელებს ისე, რომ ანგარიშს არ უწევს საერთაშორისო ორგანიზაციებს, კერძოდ, სრულიად უგულებელყოფს უშიშროების საბჭოს. იგი წარმოშობს ომის გარდაუვალ საფრთხეს. ეს ცალმხრივი და პირდაპირი აგრესია სხვა არა არის რა, თუ არა მთელ რიგ იმ აგრესიულ მოქმედებათა კულმინაციური პუნქტი, რომლებიც კუბის რევოლუციური მთავრობისა და კუბელი ხალხის წინააღმდეგ მოახდინა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, ის აგრესიული მოქმედება რომ ჩაიდინა, რაც ჩვენ ვაუწყეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და რაც 8 ოქტომბერს ამხილა ჩვენმა პრეზიდენტმა ოსვალდო დორტიკოს ტორადომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სხდომაზე.

ამ თხოვნით რომ მოგმართავთ, კუბის რევოლუციური მთავრობა ემყარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 34-ე მუხლს, 35-ე მუხლის პირველ პარაგრაფს, 35-ე მუხლს, აგრეთვე ემყარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პირველი მუხლის პირველ პარაგრაფს, მეორე მუხლის მეოთხე პარაგრაფს და 24-ე მუხლის პირველ პარაგრაფს და უშიშროების საბჭოს რეგლამენტის შესაბამის მუხლებს“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

23 ოქტომბერს გაიხსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგშია ორი საკითხი:

საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანები სოფლად მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებისათვის, საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანები რესპუბლიკის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესებაში.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ.

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ: წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. მამაიაშვილი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი მ. ბლაჟბა, გურჯაანის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგი ბ. აზაურაშვილი, საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი პ. სახელჩიძე, ყაჩაღანის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ა. ჰასანოვი, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. თხილაიშვილი, ცხაკაიას რაიონის სოფელ ფოცხოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბ. შონია, მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ნ. ხომიზურაშვილი, მახარაძის რაიონის სოფელ ბახვის არტელის წევრი ნ. მამეშვილი, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ვ. გელაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრი მ. კუშავა, საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომის პირველი მდივანი შ. მწითური, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ო. ჩერქეზია, რუისბოლოს მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ბ. დევდარიანი, გორის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსი დ. დადიანი.

პლენუმი, რომელზეც მოწვეულია სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის ხელმძღვანელი მუშაკები, განაგრძობს მუშაობას. (საქდესი).

საბჭოთა მთავრობის განცხადება

22 ოქტომბერს საღამოს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა კენედიმ გამოაცხადა, რომ მან ბრძანება მისცა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტს გზა გადაუჭრას კუბაში მიმავალ ყველა გემს, შეამოწმოს ისინი და არ გაუშვას გემები დატვირთული იარაღით, რომელიც ამერიკის ხელისუფალთა განსაზღვრით შეტევითი ხასიათის არის. გაცემულია აგრეთვე ბრძანება განუწყვეტლივ და გულმოდგინედ ადევნონ თვალყური კუბას. ამრიგად, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ფაქტიურად აწესებს კუბის რესპუბლიკის საზღვაო ბლოკადას. ამავე დროს დაიწყო ამერიკის ახალი ჯარების გადასხმა ამერიკის გუანტანამოს ბაზაში, რომელიც კუბის ტერიტორიაზეა, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებს საბრძოლოდ ამზადებენ.

პრეზიდენტი ცდილობს ეს უპრეცედენტო აგრესიული მოქმედება გამამართლოს მსჯელობით იმის შესახებ, რომ თითქოს კუბისაგან საფრთხე მოელოდეს შეერთებული შტატების ეროვნულ უშიშროებას.

საბჭოთა მთავრობას არაერთგზის მიუქცევია ყველა ქვეყნის მთავრობათა და მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება იმისათვის, თუ რა სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობის საქმეს პოლიტიკა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები აწორციელებენ კუბის რესპუბლიკის მიმართ. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის განცხადება მოწმობს, რომ ამერიკის იმპერიალისტური წრეები არაფერს არ ერიდებიან, ცდილობენ რა დათრგუნონ სუვერენული სახელმწიფო, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი. ისინი ამისათვის მზად არიან ომის კატასტროფის უფსკრულში გადაჩეხონ მსოფლიო. ყველა ქვეყნის ხალხებმა ნათლად უნდა წარმოიდგინონ, რომ ასეთი ავანტიურის ჩადენით ამერიკის შეერთებული შტატები ნაბიჯს დგამენ მსოფლიო თერმოატომური ომის გაჩაღების გზაზე. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომლებიც თავხედურად თელავენ სახელმწიფოთა მოქმედების საერთაშორისო ნორმებს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს, მიითვისეს უფლება, და გამოაცხადეს ეს, თავს დაესხან სხვა სახელმწიფოთა გემებს ღია ზღვაში, ე. ი. ხელი მიჰყონ მეკობრეობას.

ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეები ცდილობენ უკარნახონ კუბას, თუ რა პოლიტიკას უნდა ახორციელებდეს, რა წესწყობილება შემოიღოს თავის ქვეყანაში, რა იარაღი იქონიოს თავის დასაცავად. მაგრამ ვინ მისცა უფლება შეერთებულ შტატებს იკისრონ სხვა ქვეყნებისა და ხალხების ბედის განმგებლის როლი? რატომ უნდა წყვეტდნენ კუბელები თავიანთი სახელმწიფოს საშინაო საქმეებს არა საკუთარი შეხედულებისამებრ, არამედ ისე როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებს სურთ? კუბა კუბელ ხალხს ეკუთვნის, და მხოლოდ მას შეუძლია იყოს თავისი ბედის ბატონ-პატრონი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით ყველა ქვეყანას, დიდია თუ პატარა, უფლება აქვს თავის ნებაზე აშენოს თავისი ცხოვრება, განახორციელოს ის ღონისძიებანი თავისი უშიშროების უზრუნველსაყოფად, რომლებსაც საჭიროდ მიიჩნევს, ჯერ-ჯერობით ეწინააღმდეგობა გაუწიოს აგრესიულ ძალებს, რომლებიც ხელყოფენ მათს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ანგარიში არ გაუწიო ამას, იმას ნიშნავს, რომ ძირი გამოუთხარო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არსებობის თვით საფუძვლებს, შემოიღო საერთაშორისო პრაქტიკაში ჯუნგლის კანონები, წარმოშვა დაუსრულებელი კონფლიქტები და ომები.

ამ შემაშფოთებელ ქაოს საბჭოთა მთავრობას თავის მოვალეობად მიაჩნია სერიოზული გაფრთხილებით მიმართოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, გააფრთხილოს იგი, რომ, ახორციელებს რა ღონისძიებებს, რომლებიც პრეზიდენტმა კენედიმ გამოაცხადა, მთავრობა მძიმე პასუხისმგებლობას კისრულობს მსოფლიოს ბედისათვის, ეწევა ცეცხლთან უგუნურ თამაშს.

ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელებმა უნდა შეიგნონ ბოლოს და ბოლოს, რომ ახლა სულ სხვა დროა. მხოლოდ უგუნურებს შეუძლიათ ახლა იქონიონ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის იმედი და მიიჩნიონ, რომ ეს პოლიტიკა მოუტანს მათ რაიმე წარმატებას, საშუალებას მისცემს თავიანთი წესწყობილება მოახვიონ თავს სხვა სახელმწიფოებს. თუ ამერიკის შეერთებულ შტატებს წინათ შეეძლოთ ჩაეთვალათ თავი სამხედრო მდგომარეობით ყველაზე მძლავრ სახელმწიფოდ, ახლა ამისათვის არა აქვთ რაიმე საფუძველი. მსოფლიოში არის სხვა ძალა, არა ნაკლებ ძლიერი, რომელიც მოითხოვს, რომ ხალხებმა თავიანთი ცხოვრება ისე მოაწყონ, როგორც სურთ. ახლა, უფრო მეტად ვიდრე ოდესმე წინათ, სახელმწიფო მოღვაწეებს მოეთხოვებათ გამოიჩინონ სიდინჯე და კეთილგონიერება და არ დაუშვან იარაღის ჟღარუნი.

საბჭოთა მთავრობა ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ მთელი იარაღი რომელიც საბჭოთა კავშირს მოეპოვება, აგრესორთაგან თავდაცვის მიზნებს ემსახურება ახლაც და კვლავაც. თანამედროვე საერთაშორისო პირობებში ის გარემოება, რომ მძლავრი იარაღი, ამასთანავე რაკეტულ-ატომური იარაღი აქვს საბჭოთა კავშირს, მსოფლიოს ყველა ხალხის აღიარებით, გადამწყვეტი საშუალებაა, რომელიც შესაძლებლობას არ აძლევს იმპერიალიზმის აგრესიულ ძალებს გააჩაღონ მსოფლიო გამანადგურებელი ომი. საბჭოთა კავშირი ამ მისიას კვლავაც შეასრულებს მთელი სიმტკიცითა და თანამიმდევრობით

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში განაცხადა, თუნდაც ერთი ატომური ბომბი რომ დაეცეს ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე, შეერთებული შტატები დარტყმითვე უპასუხებენო. ასეთი განცხადება გამსჭვალულია თვალთმაქცობით, რადგან საბჭოთა კავშირს უკვე არაერთგზის განუცხადებია, რომ არც ერთი საბჭოთა ატომური ბომბი არ დაეცემა არც ამერიკის შეერთებულ შტატებს, არც რომელიმე სხვა ქვეყანას, თუ აგრესია არ მოხდა. ატომური იარაღი, რომელიც საბჭოთა ხალხმა შექმნა, ხალხის ხელშია, არასოდეს არ იქნება გამოყენებული აგრესიის მიზნით. მაგრამ თუ აგრესორებმა ომი გააჩაღეს, საბჭოთა კავშირი ყველაზე მძლავრი დარტყმით უპასუხებს.

საბჭოთა კავშირი ყოველთვის იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების ერთგული, თანამიმდევრულად ახორციელებდა და ახორციელებს პოლიტიკას მშვიდობის შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად. მთელმა მსოფლიომ იცის, თუ რა უდიდეს ღონისძიებებს ხმარობს საბჭოთა კავშირი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, სახელმწიფოთა შორის კონფლიქტებისა და დავის კერების ლიკვიდაციისათვის, იმისათვის, რომ განხორციელდეს სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები. სწორედ საბჭოთა კავშირმა წამოაყენა და დაასაბუთა საყოველთაო და სრული განიარაღების პროგრამა, რომლის განხორციელება დასახავდა უომო, უიარაღო მსოფლიოს შექმნის რეალურ პერსპექტივებს. ამ წინადადებებს სულ უფრო უმეტესენ მხარს მსოფლიოში, ისინი იპყრობენ ადამიანთა გონებას, დღევანდელობის მოთხოვნა გახდნენ. თუ დღემდე განიარაღების საქმე ადგილიდან არ დაძრულა, ეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი ნატოელი მოკავშირეების ბრალია. მათ ეშინიათ განიარაღებისა, არ სურთ ხელიდან გაუშვან დიდი კეტი, რომლის საშუალებითაც ცდილობენ თავიანთი ნება უკარნახონ სხვა ქვეყნებს.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ბრალად სდებს კუბას, რომ კუბა თითქოს საფრთხეს უქმნიდეს შეერთებული შტატების უშიშროებას. მაგრამ ვინ დაიჯერებს, რომ კუბას შეუძლია საფრთხე შეუქმნას ამერიკის შეერთებულ შტატებს? თუ ვილაპარაკებთ ორი ქვეყნის რესურსების ოდენობაზე, მათს შეიარაღებაზე, არც ერთ საღად მოაზროვნე სახელმწიფო მოღვაწეს აზრადაც არ მოუვა, რომ კუბას შეუძლია საფრთხე შეუქმნას ამერიკის შეერთებულ შტატებს ან რომელიმე სხვა ქვეყანას. მეტი რომ არა ვთქვათ, თვალთმაქცობაა როცა ამბობენ, თითქოს პატარა კუბას შეეძლოს ხელყოს ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროება.

კუბელებს სურთ უშიშარყონ თავიანთი ქვეყანა, თავიანთი დამოუკიდებლობა იმ საფრთხის წინააღმდეგ, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებისაგან მომდინარეობს. კუბის მთავრობა მიმართავს გონებასა და სინდისს, მოუწოდებს ამერიკის შეერთებულ

(დასასრული მე-2 გვერდზე)

უპატაკეებენ სამშობლოს

◆ **ქასპის რაიონის მევენახეებმა გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის ნაკისრი ვალდებულება.** გეგმის გადაჭარბებით სახელმწიფოს მიეყიდა 1.280 ტონა ყურძენი. (საქდესი).

◆ **ახალციხე.** (საკ. კორ.). **წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა აქატ-დიატომიტის მაღაროთა სამმართველოს კოლექტივი.**

მთამადნეულის მომპოვებლებმა 10 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს აქატისა და დიატომიტის ამოღების 10 თვის დავალება.

ამავე პერიოდში შრომის ნაყოფიერება გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით 6 პროცენტით გაიზარდა.

კომუნისტური შრომის საუკეთესო მაგალითს იძლევიან და ყოველდღიურ დავალებებს 115-125 პროცენტით ასრულებენ მადნეულის მომპოვებელთა ის ბრიგადები, რომლებსაც ს. ინასარიძე და ი. მჭედლიძე ხელმძღვანელობენ.

მაღაროთა სამმართველოს კოლექტივი ახლა თავდადებით იბრძვის, რომ 7 ნოემბრისათვის შეასრულოს პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება.

◆ **ჩვენი** რესპუბლიკის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოს — თბილისის ჩაის გადამწონი ფაბრიკის (დირექტორი მ. სარჯველაძე) კოლექტივი წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებების გასანაღდებლად იბრძვის. 21 ოქტომბერს მან ვადაზე ათი დღით ადრე გადაჭარბებით შეასრულა ათი თვის საწარმოო გეგმა.

ცხრა თვის მანძილზე შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 3,4 პროცენტით გაიზარდა, შვიდწლედის ეკონომიის ფონდში შეტანილია 383 ათასი მანეთი.

ოქტომბრის დღესასწაულის ღირსეული შეხვედრისთვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ და ათი თვის საწარმოო გეგმები ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის გადამწონი კომუნისტური შრომის იმ ბრიგადებმა, რომლებსაც შ. ეფრემიძე და გ. ფირანიშვილი ხელმძღვანელობენ.

ფაბრიკის კოლექტივმა გადაწყვიტა თვის ბოლომდე დამატებით გამოუშვას 275 ტონა პროდუქცია 1.698 ათასი მანეთის საერთო ღირებულებისა.

ყველა ქვეყნის ხალხებო! ფხიზლად იყავით, ამხილეთ ომის იმპერიალისტი გამჩაღებელნი! უფრო აქტიურად იბრძოლეთ მტკიცე და ურღვევი მშვიდობის უზრუნველსაყოფად!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებიდან.

საოქჯომბრო საჩუქრები

ეკონომიის ფონდში 289 ათასი მანეთი

ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი უძველესი საწარმოს — თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი შრომაში მოპოვებული ახალი მიღწევებით ეგებება ოქტომბრის დიად დღესასწაულს. ქარხნის სახელოვანმა კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების ცხრა თვის საწარმოო დავალება 105,7 პროცენტით შეასრულა, ხოლო სასაქონლო პროდუქციის გამომუშავებისა—107 პროცენტით.

გეგმას გადაჭარბებით გამოშვებულია თერთმეტი ორთქლმავალი და შვიდი სამგზავრო ვაგონი. ამავე პერიოდში შრომის ნაყოფიერება 8,3 პროცენტით გაიზარდა. რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში შეტანილია 289 ათასი მანეთი.

შრომითს ვახტზე

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი წარმატებით დგას ოქტომბრის რევოლუციის 45 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე. ამ დღეებში ჩინებულად მუშაობს კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრი მდნობელი შ. მახათაძე, რომელიც ცვლის დავალებას 105-107 პროცენტით ასრულებს.

სურათზე: მდნობელი შ. მახათაძე.

ფოტო გ. გერსამიასი (საქდესის ფოტოქრონიკა).

ხელები ფორს კუბისაგან!

ვერ მისწვდებით, ბატონებო!

საქართველოს დედაქალაქის მშრომელები, ისევე როგორც მთელი პროგრესული კაცობრიობა, აღაშფოთა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პროვოკაციულმა გამოსვლამ თავისუფლებისმოყვარე კუბელი ხალხის წინააღმდეგ.

თბილისის სართავ-საატრიკოტაჟო კომბინატში გამართულ ხალხმრავალ მიტინგზე საწარმოს პარტბიუროს განცხადების შესახებ, თავიანთი გულისწყრომა და აღშფოთება გამოთქვეს მუშებმა და მოსამსახურეებმა.

სართავ-საგრეხი საამქროს მხვეველმა ტ. მაღრაძემ თქვა — ჩვენი მშვიდობიანი შრომის სიხარულს ამერიკელ იმპერიალისტთა დანაშაულებრივი ზრახვები აბნელებენ. არასოდეს არ მოხდება, რომ თავისუფალი კუბა კვლავ აღმოჩნდეს მონოპოლისტთა თაოსნებში.

დასამზადებელი საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა ი. შარაშენიძემ თავისი ამხანაგების აზრი გამოსცა, როცა თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის კენედის განცხადება მოწმობს, რომ ამერიკის მხედრიონი უკვე აშკარად აწარმოებს აგრესიას რევოლუციური კუბის წინააღმდეგ. მაგრამ ხელი არ მიგიწვდებათ, ბატონო იმპერიალისტებო! კუბის მხარეზეა არა მარტო საბჭოთა კავშირი, არამედ მთელი მოწინავე კაცობრიობა.

მიტინგზე გამოვიდნენ აგრეთვე № 1 სართავი საამქროს ოსტატის თანაშემწე ნ. ბრილიანტოვა, საჩეჩი საამქროს ოსტატის თანაშემწე ი. მაკეევი.

მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „ჩვენ გულმხურვალედ მივესალმებით და მხარს ვუჭერთ საბჭოთა მთავრობის განცხადებას ამერიკის შეერთებული შტატების ახალი უპრეცედენტო მოქმედების შესახებ. ჩვენ კიდევ უფრო თავდადებით ვიმრეშებთ შვიდწლედის მეოთხე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის და ამით შევიტანთ ღირსეულ წვლილს ჩვენი საყვარელი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებაში“. (საქდესი).

ეს არ მოხდება

გუფინ საღამოს თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის საქსოვი საამქროს მეორე ცვლაში ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა. გულისწყრომითა და აღშფოთებით ლაპარაკობდნენ მიტინგზე გამოსულნი ამერიკელ აგრესორთა ავანტიურისტული პოლიტიკის შესახებ, რომლებიც ცდილობენ გაჩაღონ მსოფლიო თერმოატომური ომი.

ამერიკის მხედრიონი ცდილობს თავისუფლება მოუსპოს კუბის შრომისმოყვარე და თავისუფლებისმოყვარე ხალხს, მაგრამ ეს არ მოხდება. — თქვა მიტინგზე ფაბრიკის დირექტორმა ნ. ქვანიამ.

წარმოების უფროსმა თ. ურუშაძემ, ცვლის უფროსმა მ. ნადარაიამ, მქსოველებმა ვ. ლოსკუტოვამ და ლ. ფერაძემ თავიანთ გამოსვლებში სამართლიანი ბოძზე გაკრეს ამერიკელი იმპერიალისტები.

საამქროს კოლექტივმა ამერიკის მხედრიონის პროვოკაციების პასუხად, იკისრა კიდევ უფრო გაძლიეროს მუშაობის ტემპი, მისცეს საშობლოს, რაც შეიძლება მეტი მშვიდობიანი პროდუქცია. (საქდესი).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პროვოკაციული მოქმედებისა და ამერიკის შეიარაღებული ძალების აგრესიული ზრახვების გამო 1962 წლის 23 ოქტომბერს კრემლში საბჭოთა მთავრობამ მოუსმინა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ რ. ი. მალინოვსკის, თუ რა ღონისძიებანი განხორციელდა საბრძოლო მზადყოფნის გაძლიერებისათვის შეიარაღებულ ძალებში და მისცა თავდაცვის მინისტრს საჭირო მითითებანი, მათ შორის მითითება, რომ განსაკუთრებულ განკარგულებამდე.

1. შეაჩეროს საბჭოთა არმიიდან უფროს ასაკთა დათხოვნა ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული დანიშნულების რაკეტულ ჯარებში, საჰაერო თავდაცვის ჯარებსა და წყალქვეშა ფლოტში.
2. შეწყვიტოს მთელი პირადი შემადგენლობის შვებულებანი.
3. გააძლიეროს საბრძოლო მზადყოფნა და სიფხიზლე მთელ ჯარებში.

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲒᲐᲑᲨᲘ

როგორც ცნობილი გახდა, ამერიკის მთავრობის პროვოკაციული მოქმედებისა და ამერიკის მხედრიონის აგრესიული ზრახვების გამო ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ა. ა. გრეჩკომ 1962 წლის 23 ოქტომბერს მიიწვია ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების არმიათა წარმომადგენელი ოფიცრები და მითითება მისცა, განახორციელონ მთელი რიგი ღონისძიებანი გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შემავალი ჯარებისა და ფლოტების საბრძოლო მზადყოფნის გაძლიერებისათვის.

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲛᲮᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲘᲣᲚᲘᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

Ვ. Ვ. ᲙᲣᲖᲜᲔᲪᲝᲕᲛᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲔᲚᲩᲘᲗᲔᲑᲘ

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა 23 ოქტომბერს მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ფ. კოლერი და გადასცა საბჭოთა მთავრობის პასუხი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯ. კენედის ამა წლის 22 ოქტომბრის განცხადებაზე.

• • •

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ამხ. ვ. ვ. კუზნეცოვმა 23 ოქტომბერს მიიწვია სოციალისტური ქვეყნების ელჩები, რომლებიც მოსკოვში იმყოფებიან, და გააცნო მათ საბჭოთა მთავრობის განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის აგრესიულ მოქმედებასთან დაკავშირებით კუბის რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ამხ. ვ. ვ. კუზნეცოვმა ელჩებს აცნობა აგრეთვე, რომ საბჭოთა მთავრობამ მითითება მისცა თავის წარმომადგენელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დასვას საკითხი უშიშროების საბჭოს დაუყოვნებლივ მოწვევის შესახებ, რათა განიხილონ საკითხი „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევა და ამერიკის შეერთებული შტატების მუქარა მშვიდობისადმი“.

Ა. ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲔᲕᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲐᲓ ᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ

რეევი, 22 ოქტომბერი. (საკ. კორ.). **დღეს ქალაქის მშრომელები გულთბილად შეხვდნენ კოსმონავტს გმირს ანდრიან ნიკოლაევს.**

ანდრიან ნიკოლაევმა ილაპარაკა კოსმოსში გაფრენის შესახებ. დამსწრეთა ტაშის გრიალში გმირ მფრინავს გადაეცა ქალაქ რეევის საპატიო მოქალაქის მოწმობა.

საბჭოთა მთავრობის განცხადება

(დასასრული)

შტატებს უარი თქვან კუბის დამოუკიდებლობის ხელყოფაზე, ნორმალური ურთიერთობა დაამყარონ კუბის სახელმწიფოსთან. განა დამჯერებლად არ გაისმის, რომ კუბის მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ ისწრაფვის მოლაპარაკების გზით მოაწესრიგოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან ყველა სადავო საკითხი.

სულ ამ ცოტა ხნის წინათ, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე გამოვიდა, კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ო. დორტიკოსმა კვლავ განაცხადა, რომ კუბა „ყოველთვის მზად იყო ეწარმოებინა მოლაპარაკება ჩვეულებრივი დიპლომატიური არხებით ან რომელიმე სხვა გზით. რათა განეხილათ შეერთებულ შტატებსა და კუბას შორის არსებული უთანხმოებანი“. ახლა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ამბობს, რომ კუბის მთავრობის ეს განცხადებანი თითქოს საკმარისი არ იყოს. მაგრამ ასე შეიძლება გაამართლო ყოველი აგრესიული აქცია, ყოველი ავანტიურა.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის დახმარებას კუბისადმი, ეს დახმარება მიზნად ისახავს მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ ხელი შეუწყოს კუბის თავდაცვისუნარიანობას. როგორც ამა წლის 3 სექტემბერს აღინიშნა საბჭოთა კავშირ-კუბის ერთობლივ კომუნიკეში ე. გევარასა და ე. არაგონესის შემადგენლობით კუბის დელეგაციის საბჭოთა კავშირში ყოფნის შესახებ, საბჭოთა მთავრობამ დააკმაყოფილა კუბის მთავრობის თხოვნა კუბისათვის იარაღით დახმარების გაწევის შესახებ. კომუნიკეში ნათქვამია, რომ ეს იარაღი და სამხედრო ტექნიკა განკუთვნილია მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვის მიზნისათვის. ორივე ქვეყნის მთავრობები მტკიცედ ადგანან ამ პოზიციას ამჟამადაც.

კუბის თავდაცვის განსამტკიცებლად საბჭოთა კავშირის დახმარების აუცილებლობას იწვევს ის, რომ კუბის რესპუბლიკა თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე განიცდის განუწყვეტელ მუქარასა და პროვოკაციებს შეერთებული შტატების მხრივ.

ამერიკის შეერთებული შტატები არაფერს არ ერიდებიან, კერძოდ, შეიარაღებულ ინტერვენციას კუბაში, როგორც ეს იყო 1961 წლის აპრილში, რათა მოუსპონ კუბელ ხალხს მოპოვებული თავისუფლება და დამოუკიდებლობა, კვლავ დაუმორჩილონ იგი ამერიკის მონოპოლიათა ბატონობას, გადაქცინონ კუბა ამერიკის შეერთებული შტატების მარიონეტად.

ამერიკის შეერთებული შტატები მოითხოვენ კუბის ტერიტორიიდან გატანილ იქნეს მისი თავდაცვისათვის საჭირო სამხედრო ტექნიკა, რასაც, რა თქმა უნდა, ვერ დაეთანხმება ვერც ერთი სახელმწიფო, რომლისთვისაც ძვირფასია თავისი დამოუკიდებლობა.

საბჭოთა კავშირი მოითხოვს, რომ უცხოელთა მთელი ჯარები გაეყვანილ იქნენ სხვათა ტერიტორიებიდან თავიანთ ეროვნულ საზღვრებში. თუ ამერიკის შეერთებული შტატები ნამდვილად ზრუნავენ სახელმწიფოებთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისათვის და სურთ უზრუნველყონ მთელი მსოფლიოს მტკიცე მშვიდობა, როგორც ეს თქვა პრეზიდენტმა კენედიმ თავის გამოსვლაში 22 ოქტომბერს, მაშინ მათ უნდა მიეღოთ საბჭოთა კავშირის წინადადება და გაეყვანათ თავიანთი ჯარები და გაეტანათ სამხედრო ტექნიკა, მოესპოთ თავიანთი სამხედრო ბაზები მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში სხვათა ტერიტორიებზე.

მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები, რომელთა შეიარაღებული ძალები და იარაღი გაფანტულია მთელ მსოფლიოში, ჯიუტობენ და თავს არიდებენ ამ წინადადების მიღებას. ამერიკის შეერთებული შტატები იყენებენ მათ სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევისა და თავიანთი აგრესიული ზრახვების განხორციელებისათვის. სწორედ ამერიკის იმპერიალიზმმა იკისრა საერთაშორისო ჟანდარმის როლი. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები მუდამ იკვეხნიან, რომ ამერიკის თვითმფრინავებს ყოველთვის შეუძლიათ თავს დაესხნან საბჭოთა კავშირს, დაუშინონ ამერიკის ბომბები მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებს და მიაყენონ მძიმე დარტყმა. ერთი დღეც არ გავა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწენი, აგრეთვე პრესა არ იმუქრებოდნენ, რომ ამერიკის „პოლარისის“ რაკეტებით აღჭურვილ წყალქვეშა ნავებს, რომლებიც ბევრ ზღვასა და ოკეანეში დაძრწიან, შეუძლიათ მიაყენონ ატომური დარტყმა საბჭოთა კავშირსა და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებს. ამ ფაქტების შუქზე განსაკუთრებით ყალბად გაისმის პრეზიდენტ კენედის ის სიტყვები, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, როცა პრეტენზიულად მოითხოვს მოუსპოს კუბას თავდაცვის საშუალებანი, თითქოს ხელმძღვანელობს მშვიდობის ინტერესებით.

მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებს არ შეუძლიათ პროტესტი არ განაცხადონ კუბის სანაპიროებისაკენ მიმავალი გემების მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული მეკობრული მოქმედების წინააღმდეგ, იმის წინააღმდეგ, რომ კონტროლი დააწესონ სუვერენულ სახელმწიფოთა გემებისადმი ღია ზღვაში. ცნობილია, რომ ამერიკის სახელმწიფო მოღვაწეებს უყვართ ლაპარაკი, ერთგულად ვიცავთ საერთაშორისო სამართლის პრინციპებსო, ბევრს გაჰყვირიან, მსოფლიოში საჭიროა მართლწესრიგიო. მაგრამ სინამდვილეში მათ, როგორც ჩანს, მიაჩნიათ, რომ კანონები დაწერილია არა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, არამედ სხვა სახელმწიფოებისათვის. ამერიკის შეერთებული შტატების მიერ კუბის სანაპიროების ფაქტიური ბლოკადის დაწესება პროვოკაციული ნაბიჯია, საერთაშორისო სამართლის გაუგონარი დარღვევაა, ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის აბუჩად აგდებაა.

არ შეიძლება არ დავინახოთ ისიც, რომ თუ დღეს ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ აუკრძალონ სხვა ქვეყნებს კუბასთან ვაჭრობა და მათი გემების გამოყენება კუბაში საქონლისა და ტვირთის გადასატანად, ხვალ ამერიკის მმართველ წრეებს შეუძლიათ მოითხოვონ, რომ განხორციელდეს ანალოგიური ღონისძიებანი, რომელიც უნდა იყოს სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომლის პოლიტიკა ან სოციალური წყობილება სასურველი არ არის ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეებისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ითვისებს უფლებას — მოითხოვოს, რომ სახელმწიფოებმა ანგარიში ჩაბარონ მას, თუ როგორ აწყობენ თავიანთ თავდაცვას, მოახსენონ, რა მიაქვთ თავიანთი გემებით ღია ზღვაში.

საბჭოთა მთავრობა გადაჭრით უარყოფს ამგვარ პრეტენზიებს. ამერიკის იმპერიალიზმის თავხედურმა მოქმედებამ შეიძლება კატასტროფული შედეგები მოუტანოს მთელ კაცობრიობას, რაც არ სურს არც ერთ ხალხს, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების ხალხს.

გაითვალისწინა რა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ კუბის გარშემო შექმნილი მდგომარეობის მთელი სერიოზულობა, საბჭოთა მთავრობამ თავის წარმომადგენელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მითითება მისცა დააყენოს საკითხი უშიშროების საბჭოს დაუყოვნებლივ მოწვევის შესახებ, რათა განიხილონ საკითხი „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევა და ამერიკის შეერთებული შტატების მუქარა მშვიდობიანობისადმი“.

საბჭოთა კავშირი მიმართავს ყველა მთავრობასა და ხალხს და მოუწოდებს აღიძაღლონ პროტესტის ხმა კუბისა და სხვა სახელმწიფოთა მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ, გადაჭრით დაგმონ ეს მოქმედება და გზა გადაუღობონ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ თერმოატომური ომის გაჩაღებას.

საბჭოთა მთავრობა ყოველ საჭირო ღონისძიებას განახორციელებს, რათა ჩაფუშოს ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეების აგრესიული ზრახვანი, დაიცვას და განამტკიცოს მშვიდობა დედამიწაზე.

საბჭოთა მთავრობა მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო გაამრავლებს თავის შრომითს ღონისძიებებს საბჭოთა სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის. საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს, რომ ჩვენს ქვეყანას მოუმზადებელს არ მოუსწრონ, რომ მან შეძლოს პასუხი გასცეს აგრესორს.

ARCHIVE
http://Archivebeta.Sakdrive.org

შრომის მადლი

კავკასიონის ცადაზიდული მწვერვალები, ღვიძლი ძმებივით რომ გადახვეოდეს ერთმანეთს, თოვლით შეიმოსა. მთაში ზამთარი დამკვიდრდა. ალაზნის ველზე კი კვლავ გულუხვი შემოდგომა მბრძანებლობს: ღვინის ქარხნებში მაჭარი ბორგავს, კოლმეურნეობის საწყობები „მინდვრის დედოფლით“ აივსო, ველ-მინდვრებში „რკინის ხარები“ გუგუნებენ, მომავალი წლის სიუხვეს მკვიდრ საძირკველს უყრიან.

თელავის საწარმოო სამმართველოში შემავალი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მიმდინარე წლის ნაამაგარს დაჰხარიან. სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, რომელიც თელავის კულტურისა და დასვენების პარკში — „ნადიკვარზე“ საზეიმოდ გაიხსნა, გამოტანილი ექსპონატები, დიაგრამები, ფოტოსურათები სწორედ სოფლის მშრომელთა სიმამაცესა და სიუხვეზე მეტყველებენ.

მევენახეობა წინა პლანზეა. არ შემცდარან! ვაზი ამშვენებს და ამდიდრებს ალაზნის ველს. უამინდობამ ზვრები დაზიანა, მაგრამ სიბეჯითემ თავისი გაიტანა. თელავის საწარმოო სამმართველოში შემავალმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, კოლმეურნეობამ და მუშა-მოსამსახურეებმა 35 ათასი ტონა ყურძენი მიჰყიდეს სამშობლოს. ეს შარშანდელზე გაცილებით მეტია.

გამოფენის დამთვალიერებელთა ყურადღებას იპყრობს თელავის რაიონის ართანის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის პავილიონი. კოლმეურნეობის თავმჯდომარე მირიან გოლეთიანი სტუმრებს მოუთხრობს:

— ჰექტარზე საშუალოდ ასი ცენტნერი ყურძენი! ჩვენი ეს ვალდებულება ბევრს დიდად მოეჩვენა. ცოტა არ იყოს გული არც ჩვენ გვქონდა საგულეში. ვაი თუ შეერცხვეთ-თქო, ვფიქრობდით. მაგრამ მძლავრ მექანიზმებს, აკცის მარჯვენას ბევრი რამ შეუძლია. ვენახებში ყველა სამუშაო ზუსტად დადგენილ აგროვადებში და უზადოდ ჩავატარეთ. შედეგი? ნამდვილად სასიხარულოა. ჰექტარზე საშუალოდ 145 ცენტნერი ყურძენი მოვკრიფეთ, ვეგმა კი სამოცდაათზე მეტს არ ითვალისწინებდა. სახელმწიფოსათვის 518 ტონა ყურძენი უნდა მიგვეყიდა. ფაქტიურად 1.087 ტონა მივყიდეთ. კოლმეურნეობის სალაროს ოთხასი ათასს მანეთზე მეტი შეემატა.

დიდძალ მნახველს იზიდავს სტენდები, რომლებიც ნაფარეულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის წინსვლაზე მეტყველებს. მეურნეობის კოლექტივმა უამინდობას აჯობა, თვითეულ ჰექტარზე გეგმის ზევით ცამეტი ცენტნერი ყურძენი მოიყვანა. 1959 წელთან შედარებით სახელმწიფოს 1.625 ტონით მეტი ყურძენი ჩაბარეს.

ხელოვნიანი მაჩვენებლებით წარსდგნენ გამოფენაზე ყვარლის რაიონის კოლმეურნეობები. გრემის კოლმეურნეობა წლების მანძილზე, რომ იტყვიან, ბოლოდან პირველი იყო. წელს გრემელებმა ნამდვილად ივაჟკაცეს. თვითეულ ჰექტარზე ოცი ცენტნერი ხორბალი მოიყვანეს. ყურძნის საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე 102 ცენტნერს მიაღწია. ეს წინა წლების მაჩვენებლებს ათჯერ აჭარბებს. სტენდები მომავალი წლის საბრძოლო ამოცანებზეც მოგვითხრობენ.

ენისლის კოლმეურნეობის ქება ჯერ არავის გაუგია. ანდა რა ჰქონდათ საქმეები? ყურძენი არ მოჰყავდათ ბევრი და სიმინდი. მეცხოველეობაზე ხომ ლაპარაკიც არ ღირდა. წინა წლების „ნაამაგარს“ რომ გაიხსენებენ, ენისელელები სირცხვილისაგან წითლდებიან. წელს ყველა მათ დიდ სიბეჯითეზე ლაპარაკობს. ჩვენც ვიტყვით. 1960 წელთან შედარებით ხორბლის მოსავლიანობა ოთხჯერ გაადიდეს, სიმინდისა კი — სამჯერ. კოლმეურნე ს. ცაცაშვილმა ერთ ჰექტარზე ასი ცენტნერი სიმინდი მიიღო, ვ. გოგიაშვილმა კი — 86 ცენტნერი.

ჭიკაანის კოლმეურნეობის სტენდს ამშვენებს კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირის გიორგი ლომიძის პორტრეტი. წელს მისმა ბრიგადამ თვითეულ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 85 ცენტნერის ნაცვლად 130 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა. შალვა გელაშვილმა ერთი ჰექტარი ვენახიდან 170 ცენტნერი მიუწოდა კოლმეურნეობას, ა. ქურდაძემ, ა. ხუციშვილმა და გ. ბრეგაძემ — 160 ცენტნერი თვითეულმა.

ალმატი, ახალსოფელი... რომელი ერთი ვთქვათ. ყვარლის რაიონის თითქმის ყველა კოლმეურნეობამ წარმატებითა სიმრავლე უპატაჟა სამშობლოს. ყვარელმა მევენახეებმა წელს ისე იშრომეს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისალმება დაიმსახურეს.

მეცხოველეობა. ამ პავილიონში ახმეტის რაიონის ალვანის მეცხვარეობის საჯიშე საბჭოთა მეურნეობას მდიდარი მაჩვენებლები წარმოუდგენია. გასულ წელთან შედარებით ფარები ოცი ათასი სულით გაადიდეს, მატყლი უხვად გაპარსეს, ხორცი ასეულ ტონით ჩაბარეს.

ალვანელები მეღორეობაშიც პირველობენ. გამოფენაზე წარმოდგენილია 4 წლის დედაღორი „ვოლშებნიცა“, რომელიც 218 კილოგრამს იწონის. იგი წლიურად 25 გოჯს ზრდის. ოთხი თვის ასაკში გოჯები ორმოც-ორმოც კილოგრამს იწონიან.

ახმეტის საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფერმა საწარმოო სამმართველოში პირველ ადგილზეა. თვითეულ კვერცხისმდებელ დედალზე მიმდინარე წლის ცხრა თვეში 125 ცალი კვერცხი მიიღეს.

ეცნობი გამოფენაზე წარმოდგენილ მაჩვენებლებს და იწუნდები, რომ თელავის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სასახელოდ შეასრულებენ პარტიის XXII ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებს. 1965 წლისათვის სახელმწიფოს მიჰყიდიან 26 ათას ტონა მარცვლეულს, 55 ათას ტონა ყურძენს, 3.800 ტონა ხორცს, 6.558 ტონა რძეს და სხვ.

ს. ჟოჩლაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ვანის რაიონის სოფელ ზეინდრის კოლმეურნეობის მევენახეებმა გადაწყვიტეს წელს ნაცვლად 120 ტონისა სახელმწიფოს მიჰყიდონ 150 ტონა ყურძენი. 600-650 კილოგრამ ყურძენს კრეფს ყოველდღიურად ახალგაზრდა კოლმეურნე ნათელა გურგენიძე.

სურათზე: ნ. გურგენიძე ყურძნის კრეფის დროს.
ფოტო ი. ნანიკაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

თელავის საწარმოო სამმართველოს სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

ზოთა ლიუს ოცნება და სინამდვილე

აი იმ კაცს — კუპრივით შავი თმა, ბრინჯაოს ფერი სახე და წარმოსადეგი, ვაჟკაცური მხარბეჯი რომ ამშვენებს, ზოთა ლიუ ჩინ სა ჰქვიან.

ზოთა? — გაიკვირვებს მკითხველი.

მაგრამ გასაკვირველი არაფერია. ლიუ ჩინ სა გურჯაანში ცხოვრობს. იგი ყრმობიდანვე ეზიარა ჩვენს მიწას, ჩვენს ენას, ჩვენს კულტურას.

დარბაისელი ჩინელი მოხუცი — ზოთას მამა ლიუ ჩინ სა ახლა ღიმილით იგონებს ბობოკვარ 1917 წელს, როცა დუხჭირი ცხოვრებით განაწამები ჩინეთიდან „წითელ რუსეთში“ გადმოსახლდა ბედის საძიებლად.

ლიუ ჩინ სა ერთხანს მურმანსკის რკინიგზაზე მუშაობდა. 1921 წელს კი — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღეებში ჭიათურას მოაშურა და მარგანეცს ანგრევდა მის ბნელ შახტებში.

სწორედ აქ ჰპოვა უთვისტომო ლიუ ჩინ სამ გულისსწორი, იგი ზინაიდა კუპრაშვილთან შეუღლდა.

შემდეგ ტყიბული, ტყვარჩელი და ბოლოს — გურჯაანი, სადაც ოცდათიან წლებში ღვინის ქარხნის მშენებლობა დაიწყო.

„ჩინელი ოსტატი!“ — ასე ეძახდნენ წლების მანძილზე ამ მშენებლობის წარჩინებულ ზეინკალს ლიუ ჩინ სას, რომელსაც მუდამ თან დაჰყვებოდა ცეროდენა, მოუსვენარი ბიჭუნა შოთა ლიუ.

შოთამ ბრწყინვალედ შეისწავლა მამის ხელობა. როცა „ჩინელი ოსტატი“ ხაში შევიდა და პენსიაზე გავიდა, შვილმა თამამად შეცვალა მამა.

ბუნებით ნიჭიერი, ნათელი ოცნებით მდიდარი შოთა ლიუ არ ჩაკეტილა წვრილმან საზეინკლო სამუშაოთა ნაჭუჭში.

გურჯაანის ღვინის ქარხანა რესპუბლიკაში ერთ-ერთი უდიდესი საწარმოა. აქ თითქმის ყველა სამუშაო მექანიზებულია წესით სრულდება, და შოთამაც ამ ქარხნის ფართო საამქროებში ჰპოვა თავისი შემოქმედებითი შრომის ასპარეზი.

„მეოცნებე ზეინკალი“, როგორც მას ქარხანაში შეარქვეს, განსაკუთრებით დაინტერესა ჰიდრავლიკური წნეხების მუშაობამ. გამოცდილი ზეინკლის თვალს არ გამოპარვია, რომ ამ დანადგართა კონსტრუქციული მონაცემები აშკარად ვერ აკმაყოფილებდა დიდი ქარხნის გაზრდილ მოთხოვნებს.

კარგა ხანია დიდი წარმადობის წნეხებში იყენებენ ჰიდრავლიკური წნეების მექანიკურ ძალას. ამ პრინციპზე აგებული ორკალათიანი და სამკალათიანი წნეხებიც როდი აკლია ქარხანას. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ არსებული კონსტრუქციის დანადგარები წნეხვა მექანიზებული წესით მიმდინარეობდა, დაწნეხილი ჭაჭის დაფშვნა, ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა და სხვა პროცესები ხელით სრულდებოდა. ეს დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, ხოლო თვით დანადგარის წარმადობა — შედარებით მცირე.

— შეიძლება თუ არა ელექტროჰიდრავლიკური ძალის გამოყენების არსებული პრინციპზე შეიქმნას ისეთი კონსტრუქციის აგრეგატი, რომელიც გამორიცხავს ხელით შრომას და ამავე დროს საგრძნობლად გაზრდის წარმადობას? — აი რა აფიქრებდა დიდხანს, ძალიან დიდხანს შოთა ლიუს.

და ერთ მშვენიერ დღეს მან თავისი ჩანაფიქრი გაანდო ქარხნის მთავარ მეღვინეს.

სპეციალისტებმა იმსჯელეს, იფიქრეს, დაკვირვებით აწონ-დაწონეს ყოველივე-მალე შოთა ლიუმ ქარხნის დირექციისაგან უფლება მიიღო განეხორციელებინა ის, რაზეც ოცნებობდა.

დაიწყო სათუო, მაგრამ მიმზიდველი და მძიმე შრომა. შოთა ლიუ ჩინ სამ თავის გარშემო შემოიკრიბა ხარატი სერგეი ივანკოვი, ზეინკლები ვლადიმერ უსიკოვი, ვიქტორ ალატორცევი და ბევრი სხვა, რომლებიც სამედოდ ამოუდგნენ მხარში უკვე ქარხნის მექანიკოსად დაწინაურებულ „მეოცნებე ზეინკალს“.

გავიდა დრო, და ქარხნის სპეციალისტებმა დიდი მოწონებით მიიღეს შოთა ლიუს ხელით დამზადებული ახალი, განსხვავებული კონსტრუქციის ექვს კალათიანი ჰიდრავლიკური მოძრავი წნეხი, რომლის მუშაობის შედეგებმაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ღრმად რომ ჩავწვდეთ ამ ახალი აგრეგატის ეფექტიანობას, მოვიყვანთ ასეთ მონაცემებს:

ქარხანაში დამონტაჟებული სამკალათიანი ჰიდრავლიკური წნეხი თუ 14 საათის განმავლობაში ამუშავებს 130 ტონა დაჭყლეტილ ყურძენს და მას ემსახურება 12 მუშა, შოთა ლიუს ექვსკალათიანი წნეხი 14 საათის განმავლობაში 250 ტონა ყურძენს ამუშავებს და მას ემსახურება მხოლოდ 4 ოპერატორი.

ძველი ჰიდრავლიკური წნეხით მუშაობის დროს ყოველი ერთი ტონა ყურძნის გადამუშავება ქარხანას დაუჯდა 60 კაპიკი, შოთა ლიუს წნეხით მუშაობის დროს — 39,7 კაპიკი. ერთი ტონა ყურძნის გადამუშავებაზე ძველი წესით იხარჯება ელექტროენერგია 5,2 კილოვატი, ახალი წესით — 2,7 კილოვატი...

შოთა ლიუს ჰიდრავლიკური წნეხით ყურძნის გადამუშავების დროს შესაბამისად მცირდება ყოველი ერთი დეკალიტრი ევროპული ტიპის ღვინის თვითღირებულება.

1961 წელს შოთა ლიუ ჩინ სას მიერ დამონტაჟებულმა ახალმა ჰიდრავლიკურმა წნეხმა გურჯაანის ღვინის ქარხანას მისცა 134.262 მანეთი ეკონომია, ხოლო 1962 წელს — 350.579 მანეთი.

ქარხნის დირექტორი გ. ზარდიაშვილი, სამტრესტის სპეციალისტები საუკეთესო შეფასებას აძლევენ შოთა ლიუს წინგადადგმულ ნაბიჯს.

გურჯაანელი შოთა ლიუ ჩინ სას ოცნებისა და შრომის ნაყოფი ღირსეულ დაფასებას მოითხოვს. ამ ტიპის ექვსკალათიანი ჰიდრავლიკური წნეხები რესპუბლიკის სხვა ღვინის ქარხნებშიც უნდა დაიდგას.

გ. ბოგველიშვილი.

„სასწაულმოქმედი“ ძაფი

სულ ცოტა ხანიც, და რუსთავი გამოუშვებს კიდევ ერთ ახალ ქიმიურ პროდუქციას. ეს იქნება აბრეშუმის კორდი, ანუ მეორნაირად „სასწაულმოქმედი ძაფი“.

რატომ სასწაულმოქმედი? იგი შეცვლის ბალს, ბამბას, აბრეშუმს, მას ადგილს დაუთმობს ფოლადი, სპილენძი, ავტოკარხნებიდან გამოვლენ მანქანები, რომლებსაც არა მარტო საბურავები ექნებათ რუსთავის კორდისაგან დამზადებული, არამედ მილისები, კბილანები, კარბურატორის ტივტივები, საჯდომების გადასაკრავები.

...ვიმყოფებთ სინთეზური ბოჭკოს ქარხნის ტერიტორიაზე. წარმოების კორპუსები ჯერ კიდევ მშენებლობის პროცესშია, მიმდინარეობს მოწყობილობის მონტაჟი, მის დამთავრებამდე კვლავ დიდი დროა საჭირო. მაშ როგორ გამოუშვებს ძაფს? თანაც „სასწაულმოქმედს?“ ტიპური პროექტის მიხედვით ყველა სინთეზური ბოჭკოს ქარხანას თან ახლავს საცდელი წარმოება. ეს იგივე ქარხანაა, მაგრამ მცირე მასშტაბისა, უფრო სწორად — ძირითადი ქარხნის მაკეტი ანუ მინიატურა. ჩვეულებისაებრ საცდელ წარმოებას აქვს თავისი საამქროები, დანადგარები, ყველაფერი ის, რაც თვით ძირითად ქარხანას სჭირდება.

— რა დანიშნულება აქვს საცდელ წარმოებას? ამ კითხვით მივმართეთ ქარხნის მთავარ ინჟინერს ა. ზათირიშვილს.

— ახალი ტექნოლოგიის ათვისება და დამუშავება, მანქანა-დანადგარების გამოცდა, ძირითადი ქარხნისათვის კადრების მომზადება, — იყო პასუხი. იქვე საცდელი წარმოების უფროსმა ახალგაზრდა სპეციალისტმა გ. ავალიანმა დაუმატა:

— მშენებლებმა და მემონტაჟეებმა მთლიანად დაამთავრეს თავიანთი სამუშაოები. კორპუსი წარმოების მუშაკებს დაუთმეს.

— რა გიშლით ხელს, რომ გამოშვებულ იქნას პროდუქცია?

— თითქმის არაფერი. ვფიქრობთ, ამ დღეებში მივიღებთ გამთბობ საშუალებას — დიფენილს.

...ტელეფონმა დარეკა.

მომარაგების განყოფილებიდან იყვნენ. დიფენილი მიღებულიაო, თქვეს.

მაშ ყველაფერი მზად არის. სულ მალე დაიწყება ჩატვირთვა. ქიმიური საამქრო სრული კომპლექსით დაიწყებს მუშაობას. პირველი პროდუქცია — ძაფი რომ მიიღონ, საჭიროა კიდევ რამდენიმე დღე. ეს უკვე ტექნოლოგიური პროცესების „საიდუმლოებაა“ **და მაინც ყოველივე ისეა გათვლილი და გაანგარიშებული, რომ პირველი პროდუქცია გამოშვებულ იქნას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 45-ე წლისთავისთვის.**

შესანიშნავი საჩუქარია!

...და, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ არ არის კაპრონის ძაფი, საცდელი საწარმოს საამქროებში მაინც შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული. წმენდენ დერეფნებს, იატაკებს, ფანჯრებს, ლესავენ კედლების ჩამტარებელ კიდეებს, აწარმოებენ მოპირკეთებას.

ესენი ვინ არიან, ასე გულმოდგინედ რომ ჩაკირკიტებენ მანქანებს? სართავი საამქროს უფროსი ქ. ნიეარაძე, ქიმოსტატები ვ. ჯაფარიძე და ვ. ხარაიძე აღმოჩნდნენ. მესამე დღეა, რაც მათ ერთდროულად ჩართეს ხუთი სართავი მანქანა და გამოცდა დაიწყეს. გამოცდის პირობები კი ასეთია. თუ ისინი შეუფერხებლად იმუშავებენ 72 საათის განმავლობაში, გამოცდაც ჩაბარებული იქნება.

— უკვე 70 საათია, რაც ბრუნავენ — გვეუბნება საამქროს უფროსი და იქვე უმატებს. — რა ღმერთი გაუწყრებათ, 2 საათს ეეოარ გაძლონ.

— რამდენი ასეთი მანქანაა?

— ხუთი.

— ამა ესენი რაოა არის?

— ესენი კორდის ძაფის დანადგარებია. ჯერ ვერ გამოვცდით. არა აქვთ ელექტროდანადგარები გამოსართავი ხელსაწყოები. ალბათ ოქტომბერში ავამუშავებთ, — გვეუბნება ქ. ნიეარაძე და თვალს არ აცილებს მანქანების ბრუნვას.

საცდელი წარმოების უფროსი საგრეს საამქროში შეგვიძღვა. ეს მოცულობით სხვას არ ჩამოუვარდება. საამქროს უფროსი გ. ჩიქაკაძე და ქვეოსტატები ვ. მაცუკატოვი და ბ. გომელაური დანადგარების ტექნიკურ მომსახურებას ეწევიდნენ — მანქანებს წმენდნენ და ამზადებდნენ. როგორც აქ გვითხრეს, დამონტაჟებული 12 მანქანიდან პირველ რიგში მხოლოდ ოთხი მანქანა ამოქმედდება. დანარჩენი რვა კი არასწორი დამონტაჟების გამო მოითხოვს ტექნიკურ შესწორებას.

— ხომ არ შეუშლის ხელს ეს მდგომარეობა პროდუქციის გამოშვებას?

— სრულიადაც არა. პირველ ხანებში ჩვენ მთლიანად დაგვაკმაყოფილებს პირველი ოთხი მანქანა. როცა სამუშაო მთელი ფრონტით გაიშლება, ამ დროისათვის იმ მანქანების გასწორებაც მოესწრება.

ვნახეთ გადახვევის საამქროც. აქ თითქმის ყველაფერი მზად არის. სპეციალისტები კი მაინც დასაქმებული არიან. სინჯავენ — ყველაფერი რიგზეა თუ არა.

და ბოლოს ქიმიური საამქრო. ეს არის მაინც მთელი საცდელი წარმოების სული და გული. ისედაც ჩანს: მისი საამქროები ოთხ სართულზეა განლაგებული, პროდუქციის შეუფერხებელი ტრანსპორტირებისთვის გაუკეთებიათ სპეციალური ლიფტი. უკვე შედგენილია რიტმული მუშაობის გრაფიკი. საამქროს უფროსს ბ. გოგუაძეს მხოლოდ ის ელვენებს, რომ ჯერ ვერ მიიღო დინული — აპარატების გასათბობი საშუალება.

...და ყოველივე ამის შემდეგ გასარკვევი დაგვრჩა კიდევ ორი რამ:

როგორ არის საცდელი წარმოება უზრუნველყოფილი კადრებით და რა იქნება აქ ძირითადი ნედლეული.

ამ საკითხებზე ქარხნის დირექტორმა გ. ბარამიძემ საუბარი ასე დაიწყო:

— კადრების აღზრდისა და მომზადების პრეტენზია თვითონ აქვს საცდელ წარმოებას, მაგრამ მისთვისაც ხომ საჭირო იყო კადრები, და ან ჩვენ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი 6 თვით გაგზავნილი გვყავდა კიევისა და ჩერნიგოვის სინთეზური ბოჭკოს ქარხნებში. 150 კაცი გავგზავნეთ ენგელსის, კიევისა და კლინის ქიმიურ კომბინატებში. მათ იქ სამთვიანი ტექნიკური სწავლება გაიარეს, შეისწავლეს მეაპარატეების, დამრთავების, მგრეხავების, გადამზვეევების და სხვა პროფესიები.

ახლო მომავალში ნამუშაოდ მივიღებთ კიდევ 170 ახალგაზრდას. ჯერჯერობით სრულიად საკმარისია.

ახლა რაც შეეხება ნედლეულს. ცნობილია, ჩვენი ქარხანა, როცა ის გადაეცემა საექსპლოატაციოდ, ძირითადად დამამზადებელ ბაზად ეყოფილება მეზობლად მყოფი კაპროლაქტამის წარმოებიდან. მაგრამ ვინაიდან აღნიშნული წარმოება ჯერ კიდევ არ უშვებს პროდუქციას — ჩვენ იგი უკვე შემოვიღეთ ძერჟინსკიდან. საცდელ წარმოებას ეს არც თუ ისე დიდი რაოდენობით დასჭირდება. ასე რომ ეს პრობლემა არ არის.

...საცდელი წარმოების ტერიტორიაზე უკვე ვეღარ ნახავთ მშენებლებს, ხარაჩოებს, ამწე ხიდურებს. მათ სხვა ადგილებზე გადაინაცვლეს. მაღალი სქელი გალავანი, რომლის კარებში უკვე დგას ყარაული, გაგრძნობინებთ, რომ აქ დასრულებული წარმოებაა.

დიახ, აქ არის მართლაც ის წარმოება, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ გამოუშვებს კაპრონის „სასწაულმოქმედ“ ძაფს.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ჩასაცმელად თუ თაროზე დასაწყობად“

„კომუნისტში დაბეჭდილ კრიტიკულ წერილში „ჩასაცმელად, თუ თაროზე დასაწყობად?!“ მხილებული იყო ჩვენი რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამმართველოს ტყავფეხსაცმლის საწარმოები, რომლებიც დაბალი ხარისხის პროდუქციას უშვებენ.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მსუბუქი მრეწველობის სამმართველოდან გვაცნობინებენ, რომ წერილი სპეციალურად განიხილეს ტყავფეხსაცმლის საწარმოების და მსუბუქი მრეწველობის სამმართველოს აპარატში. დადასტურდა, რომ რესპუბლიკის ტყავფეხსაცმლის საწარმოები ჯერ კიდევ დიდი რაოდენობით უშვებენ დაბალი ხარისხის პროდუქციას, არღვევენ ფეხსაცმლის კერვის ტექნოლოგიურ პროცესებს, ვერ ასრულებენ საწარმოო გეგ

ხალხები გმობენ აგრესორებს!

გოლო მოეღოს ამერიკელ მეკოგბრეთა თარეშს!

მსოფლიო აღშფოთებულია

პარიზი, 23 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც საფრთხე, რამაც შეაძრწუნა მთელი მსოფლიო, შეაფასა დღეს დილით პარიზის რადიოს კომენტატორმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის კენედის პროოკუაციული გამოსვლა, რომელმაც გამოაცხადა კუბის „მკაცრი კარანტინი". ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მუქარის სიტყვა, განაცხადა კომენტატორმა, უაღრესად აშფოთებს ისედაც დიდი საფრთხის მქონე მდგომარეობას კარიბის ზღვის რაიონში, წარმოშობს დაძაბულ ატმოსფეროს მთელ მსოფლიოში და აძლიერებს ომის საფრთხეს.

რადიოკომენტატორმა ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პარიზს ჩავიდა საკმაოდ ცნობილი დინ არესონი, „ძალის პოზიციიდან პოლიტიკისა" და „ცივი ომის" აშკარა მქადაგებელი. იგი მოწვეულობას მიიღებს ნატოს მუდმივ წარმომადგენელთა საბჭოს მუშაობაში, რომელიც მოწვეულია პარიზში.

სტოკჰოლმი, 23 ოქტომბერი. (საკდესი). შვეიცარიაში შეშფოთებით მიიღეს და დაგმეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის კენედის გუშინდელი სიტყვა კუბის ბლოკადის შესახებ.

ბლოკადამ შეიძლება გამოიწვიოს საყოველთაო მშვიდობისათვის განსაკუთრებით სერიოზული შედეგები, აღნიშნავს მოწინავე სტატიაში გაზეთი „სტოკჰოლმ-ტიდნინგენი". იგი, უეჭველად, ძალიან სერიოზულად გაუთარსებს ისედაც დაძაბულ საერთაშორისო მდგომარეობას.

მეორე შვედური გაზეთი „სვენსკა დაგბლადეტი" აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირენი შეშფოთებით შეხვდებიან ამერიკის ახალ ღონისძიებას. „ამერიკის პოლიტიკამ საზღვაო ნაოსნობის დარგში კუბის კრიზისთან დაკავშირებით, — წერს გაზეთი, — უკვე გამოიწვია ძლიერი აღშფოთება ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეთა შორის, განსაკუთრებით ინგლისის წრეებში. გართულებისა და გათიშვის საფრთხე იზრდება ამჟამად გამოცხადებული „კარანტინის" შემდეგ".

ლონდონი, 23 ოქტომბერი. (საკდესი). „ხელები შორს კუბისაგან" — ნათქვამია დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის განცხადებაში, რომელიც აქ გამოქვეყნდა.

„კენედის გადაწყვეტილება კუბის ბლოკადის შესახებ, — აცხადებს კომუნისტური პარტია, — აგრესიის აღმაშფოთებელი აქტია, რომელსაც საკადრისი პასუხი უნდა გავცეთ.

თუ შეერთებულ შტატებს საშუალებას მივცემთ განაგრძონ ამგვარი პოლიტიკა, მაშინ ამას მოჰყვება სრული ბლოკადა და შეკრა. პრეზიდენტ კენედის მიერ ამ საომარი მოქმედების გამართლება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

უცხოელთა ერთადერთი სამხედრო ბაზა კუბაში ამერიკელთა ბაზაა (გუანტანამო. — რედ.). კუბა არავის არ ემუქრება".

კომუნისტური პარტია მოუწოდებს ინგლისელ ხალხს დაუყოვნებლივ დაიწყოს კამპანია კუბის რესპუბლიკის დასაცავად.

უველა პატიოსანმა ინგლისელმა უნდა მოითხოვოს, რომ ინგლისის მთავრობამ არ ცნოს ბლოკადის ეს აქტი და დაიცვას ინგლისის გემები, რომლებიც კანონიერ საქმრობას აწარმოებენ კუბასთან, აცხადებს კომუნისტური პარტია.

უშიშროების სამსახურ უნდა განახორციელოს ღონისძიებანი, რათა აიძულოს შეერთებული შტატები ხელი აიღონ ამგვარ საშიშ მოქმედებაზე.

ა. ა. გრომიკო ნიუ-იორკიდან გამოემგზავრა

ნიუ-იორკი, 23 ოქტომბერი. (საკდესი). საბჭოთა დელეგაციის მეთაური გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVII სესიაზე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო გუშინ ნიუ-იორკიდან თვითმფრინავით მოსკოვს გამოემგზავრა.

მასთან ერთად გამოემგზავრა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი.

გაფრენის წინ აეროდრომზე ა. ა. გრომიკომ პრესის წარმომადგენლებს გაუკეთა შემდეგი განცხადება:

პირველი შთაბეჭდილება გენერალური ასამბლეის მიმდინარე სესიის მუშაობის შესახებ ისეთია, რომ სახელმწიფოთა დიდი უმრავლესობა მოითხოვს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელებას, რომლებიც ამ მიზნის მიღწევას ემსახურება.

ჩვენ კმაყოფილი ვართ იმით, რომ საბჭოთა მთავრობის წინადადებანი საერთოდ სწორად გაიგო და დადებითად მოეკიდა დელეგაციათა უმრავლესობა.

ასამბლეის მონაწილეთა გაბატონებული აზრი ისეთია, რომ იმ სახელმწიფოებმა, რომლებიც თავიანთი მოქმედებით აშფოთებენ საერთაშორისო ვითარებას— ამის შესახებ დაწვრილებით ვილაპარაკეთ ასამბლეაზე, — უარი უნდა თქვან ასეთ პოლიტიკაზე, უნდა შეიგნონ, რომ ეს არის საშიში გზა, რომელსაც დიდი უბედურება შეუძლია დაატეხოს თავს კაცობრიობას.

მეკოგრეები კუბის ნაპირებთან

ლონდონი, 22 ოქტომბერი. (საკდესი). კუბელი კონტრრევოლუციონერები, რომლებიც მოკალათებული არიან ამერიკის შეერთებულ შტატებში, განაგრძობენ მეკობრულ მოქმედებას კუბის ნაპირებთან. როგორც რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი სან-ხოსედან იუწყება, კუბის კონტრრევოლუციონერთა ორგანიზაციის „ალფა - 66" თავმჯდომარემ მასთან ინტერვიუში განაცხადა, რომ ამ ორგანიზაციის გემები ზღვაში გავიდნენ „ინგლისის სავაჭრო გემებზე სანადოროდ. მისი აზრით, ამ გემებს დასახული აქვთ ამოცანა — „თავს დაესხნ ინგლისის სავაჭრო გემებს კუბის ტერიტორიულ წყლებში და აიფეთქონ ინგლისის ყოველი გემი ნავსადგურებში".

ᲛᲔᲬᲧᲓᲔᲡ ᲐᲮᲝᲛᲣᲠᲘ ᲘᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐ

ნიუ-იორკი, 23 ოქტომბერი. (საკდესი). მექსიკის წინადადებას, რომ 1963 წლის პირველი იანვრიდან შეწყდეს ატომური იარაღის გამოცდა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების სულ უფრო მეტი წარმომადგენელი უჭერს მხარს. გუშინ გენერალური ასამბლეის XVII სესიის პოლიტიკური კომიტეტის დილის სხდომაზე ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს ეთიოპიის, ინდონეზიის, ლიბერიის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციებმა.

გაბრე-ეგზიმ (ეთიოპია) განაცხადა, რომ ნეიტრალისტურ ქვეყნებს უნდათ დასახონ ახალი იდეები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ატომურ სახელმწიფოთა პოზიციების დაახლოებას. მან თქვა, რომ საჭიროა საერთაშორისო ინსპექცია და კონტროლი ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვისადმი ორივე მხარისათვის მისაღები პირობების გათვალისწინებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდონეზიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ქალბატონმა სუპეინმ განაცხადა, რომ მხარს უჭერს კონფერენციის მოწვევის იდეას, რომელზეც ხელს მოაწერენ ხელშეკრულებას ყველა ატომური იარაღის გამოყენების აკრძალვის, ამ იარაღის მოსპობისა და ატომური ზონების შექმნის შესახებ. ატომურმა სახელმწიფოებმა, ხაზგასმით აღნიშნა მან, უნდა გაითვალისწინონ, რომ რვა ნეიტრალისტური სახელმწიფოს მემორანდუმს მხარს უჭერს ქვეყნების უმრავლესობა, რადგან ამ მემორანდუმს უკავშირებენ იმის იმედს, რომ იგი შეიძლება გახდეს საფუძველი ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ წარმატებით მოლაპარაკებისათვის.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა შაგდარ სუტენმა განაცხადა, რომ შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ ხელს შეუწყობს საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემის გადაჭრას.

სპეციალური პოლიტიკური კომიტეტი დილის სხდომაზე განაგრძობდა საკითხის განხილვას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობის რასისტული პოლიტიკის შესახებ. სირიის, მონღოლეთის, ინდოეთის, ლიბიის წარმომადგენლებმა დაგმეს სამხრეთაფრიკელ რასისტთა დისკრიმინაციული პოლიტიკა მკვიდრი მოსახლეობის მიმართ და მოითხოვეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სასწრაფო სანქციების განხორციელება.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲡᲝᲚᲝᲚᲐᲠᲗᲣᲚᲘ, ᲞᲐᲠᲘᲖᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲡ ᲐᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ

ᲨᲢᲝᲠᲛᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲘᲨᲮᲐᲚᲨᲘ

საბჭოთა გემებს იერიში მიაქვთ არქტიკაზე

მიუხედავად ყინვებისა, ქარბუქისა და ყინულის სქელი საფარისა, რითაც დაფარულია ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთელი ტრასა, აქ ჯერ კიდევ გრძელდება ნავიგაცია. ყინულმჭრელები „ლენინგრადი", „კაპიტანი ბელოუსოვი" და სხვები არქტიკის ტრასებზე გზას უკვალავენ სატვირთო გემებსა და თბომავლებს.

გამოიცოცხლებაა იგარკის ნავსადგურში. აქ გემებს საექსპორტოდ ტვირთავენ ციმბირის ხე-ტყით. ნავსადგურში შემოვიდნენ გემები: „იგარკელესი", „ვასილი კაჩალოვი", „ივანე მოსკვინი". ინგლისში გაემართნენ ხე-ტყით დატვირთული თბომავლები „ოკა" და „სევერომორსკი", გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში — დიზელ-ელექტრომავალი „კამჩატსკელესი".

„კაპიტან ბელოუსოვის" დასახმარებლად, რომელსაც სატრანსპორტო გემები გაჰყავს, გაემართნენ ყინულმჭრელები „ლენინი", „ერმაკი", „კრასინი".

ჩრდილოეთის საზღვაო გზით ნავიგაცია ყოველწლიურად სულ უფრო ხანგრძლივი ხდება. ზამთარი ვერ უძლებს პოლარული ფლოტის მეზღვაურთა ეერიშებს. (საკდესის კორ.).

ᲛᲔᲬᲧᲓᲔᲡ ᲐᲮᲝᲛᲣᲠᲘ ᲘᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐ

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 23 ოქტომბერი. (საკდესი). მექსიკის წინადადებას, რომ 1963 წლის პირველი იანვრიდან შეწყდეს ატომური იარაღის გამოცდა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების სულ უფრო მეტი წარმომადგენელი უჭერს მხარს. გუშინ გენერალური ასამბლეის XVII სესიის პოლიტიკური კომიტეტის დილის სხდომაზე ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს ეთიოპიის, ინდონეზიის, ლიბერიის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციებმა.

გაბრე-ეგზიმ (ეთიოპია) განაცხადა, რომ ნეიტრალისტურ ქვეყნებს უნდათ დასახონ ახალი იდეები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ატომურ სახელმწიფოთა პოზიციების დაახლოებას. მან თქვა, რომ საჭიროა საერთაშორისო ინსპექცია და კონტროლი ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვისადმი ორივე მხარისათვის მისაღები პირობების გათვალისწინებით.

ინდონეზიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ქალბატონმა სუპეინმ განაცხადა, რომ მხარს უჭერს კონფერენციის მოწვევის იდეას, რომელზეც ხელს მოაწერენ ხელშეკრულებას ყველა ატომური იარაღის გამოყენების აკრძალვის, ამ იარაღის მოსპობისა და ატომური ზონების შექმნის შესახებ. ატომურმა სახელმწიფოებმა, ხაზგასმით აღნიშნა მან, უნდა გაითვალისწინონ, რომ რვა ნეიტრალისტური სახელმწიფოს მემორანდუმს მხარს უჭერს ქვეყნების უმრავლესობა, რადგან ამ მემორანდუმს უკავშირებენ იმის იმედს, რომ იგი შეიძლება გახდეს საფუძველი ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ წარმატებით მოლაპარაკებისათვის.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა შაგდარ სუტენმა განაცხადა, რომ შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ ხელს შეუწყობს საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემის გადაჭრას.

სპეციალური პოლიტიკური კომიტეტი დილის სხდომაზე განაგრძობდა საკითხის განხილვას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობის რასისტული პოლიტიკის შესახებ. სირიის, მონღოლეთის, ინდოეთის, ლიბიის წარმომადგენლებმა დაგმეს სამხრეთაფრიკელ რასისტთა დისკრიმინაციული პოლიტიკა მკვიდრი მოსახლეობის მიმართ და მოითხოვეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სასწრაფო სანქციების განხორციელება.

ᲡᲝᲚᲝᲚᲐᲠᲗᲣᲚᲘ, ᲞᲐᲠᲘᲖᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐ

ᲝᲜᲐᲢᲝᲜᲘ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ

ᲯᲔᲠᲣᲖᲐᲚᲔᲛᲘ-ᲐᲘᲠᲔᲡᲘ, 23 ოქტომბერი. (საკდესი). „პროფკავშირთა მოქმედების ერთიანობისა და კოორდინაციისათვის მოძრაობის" გაფართოებულმა ეროვნულმა საბჭომ, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა შრომის საყოველთაო კონფედერაციის რეგიონალური ორგანიზაციების, არგენტინის დედაქალაქისა და ფედერალური ოლქის პროფკავშირული ორგანიზაციების, ეროვნული პროფკავშირული ფედერაციების, აგრეთვე არგენტინის 10 პროვინციის 300-ზე მეტი დელეგატი, არგენტინის მუშათა კლასსა და პროფკავშირებს მოუწოდა განამტკიცოს სოლიდარობა კუბის რევოლუციასთან მაშინ, როცა „იმპერიალისტი ინკვიზიტორებულად ემზადებიან აგრესიისათვის".

თათბირმა მოუწოდა არგენტინელებს იბრძოლონ საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში.

თათბირმა მოუწოდა არგენტინის ყველა პროფკავშირს ერთიანი ძალით იბრძოლონ შრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და ჭეშმარიტად დემოკრატიული სახალხო მთავრობის შექმნისათვის.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲞᲐᲠᲚᲘᲐᲛᲔᲜᲢᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚᲘ

ᲙᲐᲘᲠᲝ, 22 ოქტომბერი. (საკდესი). სპარსეთის ყურის ომანის სანაპიროზე ინგლისელებმა გადმოსხეს 6 ათასი ჯარისკაცი, ნათქვამია ომანის იმამის კაიროს წარმომადგენლობის განცხადებაში.

„ინგლისის ჯარების დიდი კონტინგენტის გადმოსხმა, — აღნიშნულია განცხადებაში, — მტკიცედაა დაკავშირებული იემენის ამბებთან, ხოლო ომანელი პატრიოტების ბრძოლის გაძლიერება ინგლისელი კოლონიზატორების წინააღმდეგ, განსაკუთრებით უკანასკნელი კვირის განმავლობაში, — ომანში ჯარების ასეთი დიდი კონტინგენტის გადმოსხმის უშუალო მიზეზია".

ომანის იმამის კაიროელმა წარმომადგენელმა ბენ ჰიმიარ სულეიმანმა პროტესტი განაცხადა ინგლისის ჯარების გადმოსხმასთან დაკავშირებით.

„ინგლისელი კოლონიზატორების მოქმედება, — ნათქვამია განცხადებაში, — ვერ დაშინებს სპარსეთის ყურის რაიონის არაბ ხალხს. მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განაგრძოს ბრძოლა თავისი ტერიტორიიდან ინგლისელი კოლონიზატორების სრულ განდევნამდე და თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებამდე".

ᲘᲔᲛᲔᲜᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲪ ᲐᲑᲓᲐᲚ ᲐᲡ-ᲡᲐᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲝᲑᲡ, ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲝᲑᲘᲗ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ. ᲛᲐᲡ ᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲣᲧᲕᲠᲘᲡ ᲢᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲑᲘᲚᲐᲓᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲐᲡᲖᲔ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘᲐᲜ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ.

ᲤᲝᲢᲝ ᲝᲣᲠᲘ — ᲡᲐᲯᲓᲔᲡᲘᲡᲐ.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝᲡ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲐᲠᲢᲔᲠᲘᲐ

ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ რკინიგზას 90 წელი შეუსრულდა. 1872 წლის ამ დღეს (ძველი სტილით 10 ოქტომბერს) ფოთიდან თბილისში ჩამოვიდა პირველი სამგზავრო მატარებელი.

პირველი უბნის შშენებლობა დაწყებულ იქნა 1865 წელს. გადაწყვეტილება ამერიკაკავკასიაში რკინიგზების შშენებლობის დაწყების შესახებ მეფის მთავრობას უკარნახა მისმა მისწრაფებამ იმპერიალისტურ დაპყრობითაკენ და ამ განაპირა კუთხეში კოლონიური პოლიტიკის გაძლიერებისაკენ.

შავი ზღვის დიდ ნავსადგურთან თბილისის შემაერთებელი ხაზის შშენებლობა დაიწყო ფართო ფრონტით და ამ მშენებლობაზე დაჯარიმებულ ჯარისკაცებს იყენებდნენ. მაგრამ, მათი. არაადამიანური ექსპლოატაციის მიუხედავად, მეფის მთავრობამ ვერ შეძლო საკუთარი ძალებით დაემთავრებინა ხაზის შშენებლობა და იძულებული გახდა მომსახურების გასაწევად მიემართა ინგლისელი კონცესიონერებისათვის.

შშენებლობა შავიდ წელიწადზე მეტ ხანს გრძელდებოდა, საერთოდ კი იდეის ჩასახვის მომენტიდან მის განხორციელებამდე საჭირო გახდა დაახლოებით 20 წელი. და მაინც 14 წლის შემდეგ კვლავ დაებრუნდნენ ამ ხაზის შშენებლობის მოთავეებს, რადგან ტრასა გადიოდა სურამ-ბეჟათუბან-ფონის სადგურებზე, სადაც ციცაბო ღრმათ-დაღმართები და მრუდთა მცირე რადიუსები იყო.

1883 წელს საექსპლოატაციოდ გადაცემულ იქნა თბილის-ბაქოს და სამტრედია-ბათუმის ხაზები, რომლებიც დაკავშირებული იყო ნავთობის მრეწველობის განვითარებასთან და ქვეყნის შიგნით და საგარეო ბაზრებზე ბაქოს ნავთობზე მზარდ მოთხოვნილებასთან. სურამის უღელტეხილის მძიმე პირობები აბრკოლებდა ნავთობის გადაზიდვას, რის გამო დაწყებულ იქნა ახალი ტრასის შშენებლობა.

განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენდა იმ დროისათვის არაჩვეულებრივი სიგრძის გვირაბის შშენებლობა. ორი ათასამდე მუშას მიწისქვეშა სავალები გაჰყავდა ორი მხრიდან. 1888 წლის 13 ოქტომბერს შეერთებულ იქნა გვირაბის ორი სავალი, ხოლო 1890 წლის 16 სექტემბერს გაიხსნა მოძრაობა ახალ ტრასაზე. ამ დღეს ეწოდა „ბუნების ძალებზე გოწებისა და ტექნიკის გამარჯვების დღესასწაული". ამ დღიდან ამერიკაკავკასიის რკინიგზა ნავთობის მაგისტრალი გახდა.

გზის სხვა ხაზებიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სომხეთსა და საქართველოში გაყვანილ იქნა: სამხრეთის ხაზი — ლენინაკან-ერევანჯულფის მხარისაკენ და მთელი რიგი შტოები —ქუთაისის, ჭიათურის, ბორჯომისა და ბაკურიანისა. უკანასკნელი აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა პირველი მსოფლიო ომის დროს კახეთის ხაზი

თუ მეფის დროს სარკინიგზო მეურნეობა პრიმიტიული იყო, მეწშვეიკებისა და დაშნაკების პარპაშის პერიოდში იგი სრულ ნგრევამდე იქნა მიყვანილი. მაშინ მატარებელი თბილისიდან ბათუმამდე მიდიოდნენ ხუთი და მეტი დღე-ღამის განმავლობაში უგანრიგოდ. ორთქლმავლები შეშით მუშაობდნენ

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მუშათა კლასის მოწინავე რაზმი — რკინიგზელები, სახელოვანი რევოლუციური ტრადიციების მატარებლები, პირველი დღეებიდანვე შეუდგნენ ტრანსპორტის აღდგენასა და მოწესრიგებას.

პირველ რიგში გაძლიერებულ იქნა ორთქლმავლების პარკი. უდიდესი მუშაობა შესრულდა ლიანდაგის გასაჯანსაღებლად. პირველი 15 წლის განმავლობაში 600 კილომეტრზე მეტი მსუბუქი გაცვეთილი რელსები შეიცვალა უფრო მძიმე ტიპის რელსებით. დაწყებულ იქნა ქვიშის ბალასტის შეცვლა ღორღით, ხიდების გადაკეთება და გაძლიერება. კავშირგაბმულობის საშუალებანი, რომლებიც თავმინებებული იყო, მთლიანად განახლებულ იქნა.

აქტიურ სამეურნეო ცხოვრებაში რესპუბლიკის ახალი რაიონების ჩაბმასთან დაკავშირებით დაიწყო ახალი სარკინიგზო შშენებლობა. უკვე 1924 წელს გაყვანილ იქნა შტო სადგურ ნატანებიდან მახარაძემდე, შემდეგ არტიკის, წყალტუბოს და ცხინვალის შტოები. მაგრამ მთავარი ახალშენება იყო შავი ზღვის ტექნიკურად რთული ხაზი სადგურ ცხაკაიადან აღლერამდე. უბანი სოხუმამდე დამთავრებულ იქნა დიდი სამამულო ომის დაწყების წელს, ხოლო გამჭოლი მოძრაობა მთელ ხაზზე გაიხსნა 1942 წელს. ომის განმავლობაში შენდებოდა აგრეთვე ბორჯომ-ვალეს ხაზი.

გზას დიდი როდენობით გადაჰქონდა ახერბაიჯანული ნავთობი, ხოლო სურამის უღელტეხილის გამტარუნარიანობა ზღუდავდა ამ გადაზიდვებს. ამ მთიანი უბნის ელექტროფიკაციის პრობლემის გადაჭრა, რომელიც ჯერ კიდევ 1911 წელს წამოიჭრა, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შეძლო.

1923 წელს შეიქმნა სურამის უღელტეხილის უბნის ელექტროფიკაციის ბიურო, ხოლო 1927 წლიდან გაიშალა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. 1932 წლის 16 აგვისტოს საზეიმოვითარებაში გაიხსნა მოძრაობა უღელტეხილზე ელექტროწევით. ეს იყო პირველი ელექტროფიცირებული სამაგისტრალო უბანი საბჭოთა კავშირის რკინიგზების ქსელში.

ახლა ელექტროწევით მომუშავე უბნების შედარებითი სიგრძით ამერიკაკავკასიის რკინიგზა ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირში.

ᲒᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ აღმავლობამ, რაც მიღწეულ იქნა ხუთწლედებში, და რკინიგზელთა ამაღლებულმა შეგნებამ და კვალიფიკაციამ უზრუნველყო გზის შეუფერხებელი და ზუსტი მუშაობა ომის უძნელეს პირობებში. წარმატებით ასრულდა რა გადაზიდვის ყველა დავალება, ამერიკაკავკასიის რკინიგზის კოლექტივმა 1941-1945 წლების ომის პერიოდში 19-ჯერ გაიმარჯვა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ომის დამთავრების შემდეგ განახლდა გზის რეკონსტრუქცია. აშენებულ იქნა ჭიათურის ფართოლიანდაგიანი ხაზი, შემოღებულ იქნა ელექტროწევა ყველა სანაპირო უბანზე. ამასთან ერთად დაიწყო გზის აღჭურვა ავტომატიკით.

ომის შემდეგ დიდი ყურადღება მიექცა ახალი სადგურების მშენებლობას და არსებული ვაგზლების კეთილმოწყობას. სამგზავრო ვაგონების თითქმის მთელი პარკი შეცვლილია მთლიანლითონის ვაგონებით, ხოლო საგარეუბნო შიმოსვლაში დაინერგა სწრაფმავალი მოტორვაგონიანი სექციები. ყოველივე ამან ამაღლა მგზავრთა მომსახურების კულტურა.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გზის მუშაკთა კეთილდღეობა.

პარტიისა და მთავრობის ამ ზრუნვას ფოლადის ლიანდაგის მუშაკები შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი ზრდით უპასუხებენ. თუ 1927 წელს რკინიგზის თვითეულ მუშაზე საშუალოდ მოდიოდა 75 ათასი ტონა-კილომეტრი, ახლა წელიწადში მოდის 380 ათასი ტონა-კილომეტრი, ე. ი. 5-ჯერ მეტი. ამ მაჩვენებლის მიხედვით ვზის კოლექტივი მნიშვნელოვანი წინსწრებით ასრულებს შვიდწლედის დავალებას. ამჟამად გზის 50 საწარმო და ყველა მუშაკთა ნახევარზე მეტი მონაწილეობას იღებს კომუნისტური შრომის პატრიოტულ მოძრაობაში.

საასახარულო პერსპექტივები გადაუშალა რკინიგზელებს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების პროგრამამ. ისინი ენთუზიაზმით წყვეტენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული XXII ყრილობის მიერ დასახულ დიდ ამოცანებს.

ტვირთზიდვის გეგმა სისტემატურად გადაჭარბებით სრულდება. მიმდინარე წლის 9 თვეში წლიური გეგმის დონის გადამეტებით უკვე გაგზავნილია ვრთ მილიონ ტონამდე სახალხო-სამეურნეო ტვირთები, როცა წლიური სოციალისტური ვალდებულება 600 ათასი ტონაა. ტვირთბრუნვის ოდენობით ამერიკაკავკასიის გზა უახლოვდება შეიდწლიანი გეგმით 1965 წლისათვის დადგენილ საკონტროლო ციფრს.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოძრაი შემადგენლობის გამოყენება. სრულდება ვაგონების ბრუნვის კვარტალური დავალებანი, რაც შედეგია სატვირთო ოპერაციების გამო გაცდენის მნიშვნელოვანი შემცირებისა.

ბევრად უფრო აქტიურად ინერგება ახალი ტექნიკა. რკინიგზამ უკვე იწყო 6-8 ტიპის ახალი ელექტრომავლების მიღება. დაიწყო სამანევრო თბომავლების დანერგვა, ელით თბომავლებს კახეთის ხაზისათვის. ბევრ უბანზე კვერთხების სისტემა შეცვლილია ნახევრადავტომატური სისტემით.

მიმდინარე წლიდან რკინიგზა გადავიდა მხოლოდ ოთხღერძიანი ვაგონებით მუშაობაზე, რამაც გაადიდა მისი გამტარუნარიანობა და გააძლიერა მოძრაობის უსაშიშრობა.

შემუშავებულია ღონისძიებანი სატვირთო ოპერაციების კონცენტრაციისათვის სადგურების ნაკლებ რაოდენობაში და გზის გამგებლობაში იმ მისასვლელი ლიანდაგების გადაცემისათვის, რომლებიც სამრეწველო საწარმოთა ტექნოლოგიურ პროცესთან არ არიან დაკავშირებული.

ძირეულად გარდაქმნილია სისტემა ადგილობრივი სამგზავრო და საგარეუბნო მატარებლების კონტროლისა საზოგადოებრიობის როლის გაძლიერების და თავიანთი ბრიგადების მოქმედებისათვის მატარებელთა ბრიგადების პასუხისმგებლობის გადიდების ბაზაზე. ახალ წესს მოჰყვა დადებითი შედეგები, გაიზარდა მგზავრალის შემოსავალი, გაუმჯობესდა მგზავრების მომსახურება.

ᲣᲚᲢᲘᲛᲐᲢᲣᲛᲘ ეს გზის კოლექტივისათვის შეუშინველელ როდი ხდის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს. ჯერ კიდევ ყველა გაყოფიერება, სადგური, დეპო, სალიანდაგო დისტანცია როდი მუშაობს საკმარო სიზუსტით და ზოგიერთი მათგანი ვერ უზრუნველყოფს გეგმებისა და დავალებების ყოველდღიურ შესრულებას. მიღწეული არ არის სატვირთო ოპერაციების რიტმული წარმოება, რაც იწვევს შეფერხებებს. არის მატარებელთა მოძრაობის გრაფიკისა და განრიგის, უსაშიშრობის წესების, მგზავრთა კულტურული მომსახურების პირობების დარღვევის ფაქტები. რკინიგზელები მოვალენი არიან გააძლიერონ ბრძოლა ყველა ამ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ.

ჩაება რა წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში და იესრა დამატებითი ვალდებულებანი, გზის კოლექტივი ისწრაფვის მიაღწიოს პასუხსაგები შემოდგომა-ზამთრის პერიოდის გადაზიდვის ტემპების გაძლიერებას და შვიდწლედის მეოთხე წლის გეგმას ვადამდე შესრულებას ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

ეჭვი არ არის, რომ გზის სახელოვანი კოლექტივი, თავისი შესანიშნავი ტრადიციების ერთგული, ღირსეულ წვლილს შეტანს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების დიად საქმეში.

Გ. ᲥᲐᲓᲐᲒᲘᲫᲔ,

ამერიკაკავკასიის რკინიგზის უფროსი.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲛᲝ-ᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 24 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ, 1962 Წ.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲡ

◆ **ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲔᲚᲛᲐ** მფრინავმა იან-იანსამ მუშაობის 35 წლის მანძილზე გაიფრინა 4 მილიონზე მეტი კილომეტრი, პაერში დაჰყო 15 ათასი საათი, მართავდა ჩეხოსლოვაკიური და უცხოური წარმოების 100-ზე მეტ მარკის თვითმფრინავს, იყო თითქმის ყველა კონტინენტზე.

◆ **ᲙᲝᲚᲝᲜᲒᲝᲨᲘ** გამოვიდა წიგნი, რომლის სახელწოდება ყდაზე დაწერილია სამ ენაზე — ინგლისურ, ინგლისურ და რუსულ

ახალი ამბები

ჩვენი სტუმრები

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ბოტანიკოსთა ექსპედიციის მონაწილენი საქართველოში

ამ დღეებში ელებსა და მდინარეების ხეობებში, ქალაქების მიდამოსა და ტყეებში ნახავთ ადამიანებს, რომლებიც გულდასმით სწავლობენ მცენარეულთა საფარს. ესენი არიან საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ბოტანიკოსთა ექსპედიციის წევრები, რომლებიც სწავლობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის ფლორას.

ეს ექსპედიცია შეიქმნა ერთი წლის წინათ ცნობილი საბჭოთა მეცნიერის, აკადემიკოს ნ. ციცინის ხელმძღვანელობით. შარშან ამ ორი ქვეყნის ბოტანიკოსებმა შეისწავლეს ინდოეთის ფლორა, წელს კი იკვლევენ საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეს. ისინი უკვე იყვნენ შუა აზიის მთებსა და უდაბნოებში, ტიან-შანში, უზბეკეთში.

ინდოელ მეცნიერთა დელეგაციის შემადგენლობაში არიან ინდოეთის ბოტანიკური სამსახურის ხელმძღვანელი პროფესორი სანტაპაუ, მადრასის უნივერსიტეტის პროფესორი სადასივანი, ქალაქ პუნის უნივერსიტეტის პროფესორი მაჰაბალე, კალკუტის ეროვნული ჰერბარიუმის დირექტორი პროფესორი სუკერეი, ინდოეთის ბოტანიკური სამსახურის ჩრდილოეთის სექტორის ხელმძღვანელი დოქტორი რუ და კალკუტის უნივერსიტეტის პროფესორი სირკარი.

ჩვენს რესპუბლიკაში ინდოელი მეცნიერები უკვე იყვნენ ყაზბეგში, ბორჯომში, ბაკურიანში, ლაგოდეხის ნაკრძალში, გაეცნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ტყის ინსტიტუტისა და ცენტრალური ბოტანიკური ბაღის საქმიანობას, შეხვდნენ ქართველ ბოტანიკოს მეცნიერებს. მგზავრობაში მათთან ახლავს სსრ კავშირის ბოტანიკური ბაღების საბჭოს სწავლული მდივანი ს. კოროვინი.

საქართველოს ბუნებამ მოგვხიბლა, — განუცხადა საქდესის კორესპონდენტს ინდოელ მეცნიერთა დელეგაციის ხელმძღვანელმა პროფესორმა სანტაპაუმ. — თქვენი ბორჯომის ხეობა ჩრდილოეთ ინდოეთს, კაშმირს გვაგონებს. საბჭოთა კავშირში და, კერძოდ, საქართველოში ბუნების დაცვა ჩინებულადაა მოწყობილი. ძალიან მოგვეწონა საბჭოთა ბოტანიკური ბაღები. მართალია, ეს ბაღები ჩვენც გვაქვს, მაგრამ იქ მხოლოდ ინდოეთის ფლორის წარმომადგენლებია.

ბოტანიკოსთა ექსპედიცია საქართველოში იმუშავებს ერთი თვის მანძილზე.

(საქდესი).

ჩემპიონის დამარცხება

გუშინ მოსკოვში შედგა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ფინალური ჯგუფის გუნდების ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ სსრ კავშირის ჩემპიონი კიევის „დინამო“ და მოსკოვის „სპარტაკი“.

ბრძოლის დასაწყისშივე ანგარიში სპარტაკელმა ნეტომ გახსნა. მეორე ნახევარში მოსკოველებმა მეორე ბურთი გაიტანეს, მაგრამ მატჩის დამთავრებამდე 8 წუთით ადრე ლობანოვსკიმ შეძლო სპასუხო გოლის გატანა. გაიმარჯვეს სპარტაკელებმა 2 : 1.

ამრიგად, ჩემპიონატის ლიდერთა ჯგუფში მოხდა ადგილების თვალსაჩინო გადანაცვლება. პირველ ადგილს კვლავ მოსკოვის „დინამო“ ინარჩუნებს, რომელსაც 15 თამაშიდან 21 ქულა აქვს. 16 თამაშიდან ოც-ოცი ქულა აქვთ მოსკოვის „სპარტაკსა“ და არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდებს. ბურთების უკეთესი სხვაობით მეორე ადგილზეა „სპარტაკი“, მესამეზე — ცსკა. ცხრამეტ-ცხრამეტი ქულით მეოთხე და მეხუთე ადგილებზე იმყოფებიან კიევისა და თბილისის „დინამოს“ გუნდები.

ვინ გაიმარჯვებს?

მოსკოვში გრძელდება ფინალური შეხვედრები ფრენბურთში მსოფლიოს პირველობაზე. ბრძოლა დღითიდღე მწვავდება, ყოველი ტურის შეხვედრებს გათამაშების ცხრილში ახალ-ახალი ცვლილებები შეაქვს.

გასული შეხვედრებიდან ერთ-ერთ ცენტრალურ ასპარეზობას სსრ კავშირისა და იაპონიის ქალთა გუნდების მატჩი წარმოადგენდა, რადგან სწორედ ამ კოლექტივებს უწინასწარმეტყველებდნენ ჩემპიონობას.

პირველ პარტიაში უპირატესობა საბჭოთა სპორტსმენების მხარეზე იყო და გამარჯვებაც მათ ხვდათ, მაგრამ მომდევნო სამ პარტიაში იაპონელებმა ხელი იგდეს უპირატესობა და მოიგეს შეხვედრა საერთო ანგარიშით 3:1.

ერთი დღით ფრენბურთელი ქალები ისვენებდნენ. გაიმართა მხოლოდ ვაჟთა გუნდების ასპარეზობა. ყურადღების ცენტრში იდგა სსრ კავშირისა და ბულგარეთის გუნდების შეხვედრა. მძაფრ ბრძოლაში გამარჯვება საბჭოთა ფრენბურთელებს ხვდათ ანგარიშით 3:0.

წარმატებით გამოდიან აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის ფრენბურთელები. ისინი გუშინდლამდე სსრ კავშირის გუნდთან ერთად დაუმარცხებლად იბრძოდნენ.

გუშინ გაიმართა ვაჟთა გუნდების ცენტრალური შეხვედრა სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებს შორის. გაიმარჯვეს საბჭოთა ფრენბურთელებმა 15:8, 15:13, 15:9. ამრიგად, საბჭოთა გუნდი ერთად-ერთი კოლექტივია, რომელიც დაუმარცხებლად იბრძვის და მსოფლიო ჩემპიონობის მთავარი პრეტენდენტია.

კოლეგისგან — პოლეტი

დიდი საჭადრაკო პაექრობა

ლენინგრადი, 23 ოქტომბერი. (საქდესის სპეც. კორესპონდენტი ი. როზლინი). **საბჭოთა კავშირის გუნდური ჩემპიონატის მესამე ტურში ახალი წარმატება მოიპოვეს რუსეთის ფედერაციის მოჭადრაკეებმა მატჩში უკრაინის ძლიერ გუნდთან. ანგარიშია 4,5 : 0,5 რსფსრ გუნდის სასარგებლოდ. გადადებულ პარტიათა უმრავლესობაში მათ მოსაგები პოზიცია აქვთ.**

პოლუგაევსკი — **გელერის (უკრაინა) შეხვედრაში, რომელიც მიმდინარეობდა მძაფრი გართულებით, შესვენებისათვის დაუმთავრებელი დარჩა. პირველად პოლუგაევსკიმ მოიპოვა თვალსაჩინო უპირატესობა, მაგრამ სწრაფი მოგების ძიებაში მან გაუფრთხილებლად შეწირა რამდენიმე პაიკი. გელერმა ამჯერადაც დაამტკიცა დაცვაში მეტად მედგარი მოჭადრაკის რეპუტაცია. ახლა გადადებულ პოზიციაში პოლუგაევსკი ალბათ დამარცხებას ვერ ასცდება.**

ესტონელ და მოსკოველ მოჭადრაკეთა ორთაბრძოლებში შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა გროსმაისტერმა ბრონშტეინმა, რომელიც ოსტატ ნეის ეთამაშებოდა. ჯერჯერობით ამ შეხვედრის შედეგია 4:2 მოსკოველთა სასარგებლოდ (ოთხი პარტია დაუმთავრებელი დარჩა).

ძლიერად წარმართა შეხვედრა ლატვიის გუნდმა ბელორუსიის მოჭადრაკეთა წინააღმდეგ. ამ გუნდის ხუთმა მონაწილემ — გიასლისმა, კლოვანმა, ზილბერმა, პეტერსონმა და კლიავინმა ჩაიწერეს თითო ქულა სატურნირო ცხრილში. მწვავე კომბინაციური ბრძოლის შემდეგ (ესპანური პარტია) დაუმთავრებელი დარჩა ლიდერების ბოლესლავსკისა და ტალის შეხვედრა. ბელორუსიელი გროსმაისტერი ინარჩუნებს ზედმეტ პაიკს. ლატვიის გუნდი ჯერჯერობით იგებს დიდი ანგარიშით 6 : 1 (სამი შეხვედრა გადადებულია).

ლიტვა-მოლდავეთის მატჩში დამთავრდა მხოლოდ ოთხი პარტია. წინ არიან ლიტველი ოსტატები, ანგარიშია 3:1.

საუკეთესო „სნაიპერები“

„ა“ კლასის ფეხბურთელთა კოლექტივები განაგრძობენ ბრძოლას იმ პრიზებისათვის, რომლებიც დაწესებულია სპორტულ უწყებათა და ჟურნალ-გაზეთების რედაქციების მიერ.

გაზეთ **„ტრუდის“** პრიზი განკუთვნილია იმ ფეხბურთელისათვის, რომელიც ჩემპიონატში ყველაზე მეტ ბურთს გაიტანს.

გუშინდლამდე პირველობის საუკეთესო „სნაიპერებად“ ითვლებოდნენ **ე. მარკაროვი** (ბაქოს „ნეფტიანიკი“) და **ი. სვიდოვი** (მოსკოვის „სპარტაკი“), რომლებსაც თორმეტ-თორმეტი გოლი ჰქონდათ გატანილი.

თერთმეტ-თერთმეტი ბურთი გაიტანეს **ლ. ბურჩალკინმა** (ლენინგრადის „ზენიტი“), **ო. კოპაეევმა** (დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი) და **ვ. ს